

# 01 | გარემოსდაცვითი სამართლის არსი

გარემოსდაცვითი  
სამართლის  
განვითარების მცირე  
ისტორია



# გარემოსდაცვითი სამართალი

## განვითარების მცირე ისტორია



### 1962

#### გარემოსდაცვითი მოძრაობის დასაწყისი



წყარო:




გამოქვეყნდა რეიჩელ კარსონის წიგნი „მდუმარე გაზაფხული“, რომელშიც შესწავლილია პესტიციდების უარყოფითი გავლენა ეკოსისტემებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ნაშრომმა ხელი შეუწყო გარემოსდაცვითი მოძრაობის გააქტიურებას.



### 1968

#### დედამიწის პირველი ფოტოსურათი



წყარო:



აპოლო რვამ კოსმოსიდან დედამიწის პირველი ფოტოსურათები გამოგზავნა და კაცობრიობამ დედამიწა გარე პერსპექტივიდან დაინახა. ფოტოებს მეცნიერულთან ერთად ფსიქოლოგიური დატვირთვაც ჰქონდა. კერძოდ, გამოჩნდა, თუ რამდენად პატარაა დედამიწა და როგორი მოწყვლადი შესაძლოა იყოს სხვადასხვა ფაქტორის მიმართ. ასევე, ნათელი გახდა, რომ დედამიწაზე არ არსებობს საზღვრები და ეკოსისტემები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.



### 1969-1971

#### პირველი გარემოსდაცვითი ორგანიზაციები



წყარო:



დაარსდა ისეთი ცნობილი გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, როგორებიცაა Friends of the Earth და Greenpeace.



### 1962-1971

#### ეკოციდის კონცეფცია



წყარო:



1962 წლიდან 1971 წლამდე პერიოდში აშშ-ის საჰაერო ძალებმა ვიეტნამში ხეებისა და მცენარეების გასანადგურებლად დიდი რაოდენობით ჰერბიციდი „Agent Orange“ გააფრქვიეს. ვიეტნამს მასშტაბური ზიანი მიაღწია და საფრთხე შეექმნა არა მხოლოდ ვიეტნამელების, არამედ აშშ-ის შეიარაღებული ძალების ჯანმრთელობას. მეცნიერმა არტურ გალსტონმა, რომლის სამეცნიერო ნაშრომიც ამ ჰერბიციდის საწარმოებლად გამოიყენეს, ეკოციდის (გარემოს მასშტაბური განადგურება) საწინააღმდეგოდ ადვოკატირება დაიწყო.



წყარო:



## 1970

### დედამიწის დღის დაარსება

პირველად აღინიშნა დედამიწის დღე.

### გარემოსდაცვითი ინსტიტუტების შექმნა

დიდ ბრიტანეთში დაარსდა გარემოს დაცვის დეპარტამენტი.



წყარო:



## 1972

### პირველი საერთაშორისო

### გარემოსდაცვითი კონფერენცია

გაიმართა გაეროს სტოკჰოლმის კონფერენცია ადამიანის გარემოზე, რომელიც გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული პირველი გლობალური კონფერენცია იყო.



წყარო:



## 1972

### გარემოსდაცვითი მოძრაობის

### პირველი შედეგები

ამშ-ში შეიქმნა გარემოს დაცვის სააგენტო.

აიკრძალა მწერების გასანადგურებელი იმ პესტიციდის (Dichloro-Diphenyl-Trichloroethane) გამოყენება, რომელსაც ეხებოდა რეიჩელ კარსონის წიგნი.



წყარო:



## 1973

### CITES კონვენციის მიღება

სახელმწიფოებმა მიიღეს კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES კონვენცია).



წყარო:



## 1973

### ევროპული გარემოსდაცვითი

### პოლიტიკის ჩამოყალიბება

სტოკჰოლმის კონფერენციის შედეგად შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების (ევროკავშირის წინამორბედი) პირველი გარემოსდაცვითი ქმედების პროგრამა. ევროკავშირმა გარემოს პოლიტიკის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ ჩამოყალიბება სწორედ ამ დროს დაიწყო.



წყარო:



## 1987

### ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო

### მექანიზმის შექმნა

შეიქმნა „მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამზღველ ნივთიერებათა შესახებ“, ვინაიდან დადასტურდა, რომ ანტარქტიდის თავზე, ოზონის შრეში (მზის მავნე გამოსხივებისგან დამცავი ფენა) ხვრელი იყო გაჩენილი.



## 1987

### მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბება



წყარო:

გაერომ გამოაქვეყნა ე.წ. „ბრუნდტლანდის ანგარიში“ - „ჩვენი საერთო მომავალი“, რომლითაც განიმარტა მდგრადი განვითარების კონცეფცია. მდგრადი განვითარების კონცეფცია დღესდღეობით გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და სამართლის განუყოფელი ნაწილია.



## 1988

### კლიმატის ცვლილების შესახებ ცოდნის კონსოლიდაცია




წყარო:

მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ და გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ შექმნეს კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისო საბჭო (IPCC), რომელსაც დაევალა, გაეანალიზებინა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მეცნიერული მტკიცებულებები და შეეფასებინა მისი გავლენა გარემოზე.



## 1989

### ნარჩენების საერთაშორისო რეგულირების დასაწყისი



წყარო:

მიიღეს ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ.



## 1990

### IPCC-ის პირველი ანგარიში



წყარო:

გამოქვეყნდა IPCC-ის პირველი ანგარიში, რომელმაც დაადასტურა, რომ კლიმატის ცვლილება ადამიანის საქმიანობის შედეგად არის გამოწვეული.



## 1992

### გლობალური გარემოსდაცვითი მმართველობის გარდამტეხი ეტაპი



წყარო:

- ▶ გაიმართა გაეროს კონფერენცია გარემოსა და განვითარების შესახებ (რიოს კონფერენცია), სადაც მიიღეს:
  - > „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია“ (UNFCCC);
  - > „კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ (CBD);
  - > „რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა გარემოსდაცვითი პრინციპები.
- ▶ მოლაპარაკებები დაიწყო „გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციასთან“ (UNCCD) დაკავშირებით, რომელიც 1994 წელს მიიღეს.



წყარო:



## 2001

### გარემოსდაცვითი მმართველობის დემოკრატიზაცია

ძალაში შევიდა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია - „ორჰუსის კონვენცია“.



წყარო:



## 2015

### გლობალური კლიმატური ჩარჩოს გაძლიერება

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში დაიწყო „პარიზის შეთანხმება“, რომელიც განსაზღვრავს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მიზნებს.



წყარო:



## 2022

### სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე წვდომის უფლების საერთაშორისო აღიარება

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ისტორიული მნიშვნელობის რეზოლუცია, რომლითაც სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე წვდომის უფლება საერთაშორისო დონეზე პირველად აღიარა ადამიანის ძირითად უფლებად.

პუბლიკაცია შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP)  
და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით.  
მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა,  
არ ასახავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

